1949

F 1093

უფასო

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებათა
და განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მეთორმეტე

№ 10 | Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР | 1949 г.

შინაარსი

		გვ.
1.	ბრძანება № 3668, სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების შესახებ	2
2.	ბრძანება № 3669, მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში სწავლების დაწყების პირველი დღეების შედეგების შესახებ	5
3.	ბრძანება № 3523, საშუალო სკოლებში ფიზიკისა და ქიმიის სწავლების გათვალსაჩინოების შესახებ	14
4.	ბრძანება № 3960, ყაზბეგის რაიონის სკოლების შემოწმების შედეგების შესახებ	16

ქ. ბაქრაძის სახ. სამ. ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

თბილისი — 1949

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3668

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 19 ოქტომბერი.

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების შესახებ

ადგილებზე ჩატარებული შემოწმების მასალებიდან ირკვევა, რომ მთელი რიგი რაიონების სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები 1949—50 სასწავლო წლისათვის სამზადისს დროულად შეუდგნენ და ახალ სასწავლო წელს საკმაოდ მომზადებული ხვდებიან.

ადგილებზე ჩატარებულია სკოლის გარეშე დარჩენილი კოლმეურნე ახალგაზრდობის აღრიცხვა, დაზუსტებულია სკოლებში და აგრეთვე ცალკეულ კლასებში ჩასაბმელი კონტინგენტი, გეგმის შესაბამისად დაკომპლექტებულია კლასები მოსწავლეთა სათანადო რაოდენობით. სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის შემონახულია და დაჯავშნილი სახელმძღვანელოები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები. რიგ კოლმეურნეობებში დამუშავდა საკითხი სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მიზნებისა და ამოცანების შესახებ. სასოფლო საბჭოს ზოგიერთი თავმჯდომარე და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები ეხმარებიან სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს მოსწავლეთა კონტინგენტის გამოვლინება-აღრიცხვის, სკოლების მატერიალური პირობების გაუმჯობესების საქმეში და სხვ. რიგ რაიონებში სკოლები უკვე მომარაგებული არიან შეშით, ნავთით და საჭირო ინვენტარით.

მაგრამ ამასთან ერთად სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დარგში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. ზოგიერთ სკოლას ჯერ კიდევ არ ჩაუტარებია სკოლის სამოქმედო რაიონში სკოლის გარეშე დარჩენილი ახალგაზრდობის აღრიცხვა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და მტს-ებში არ დაუმუშავებია საკითხი სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მიზნებისა და ამოცანების შესახებ. წულუკიძისა და ლაგოდეხის რაიონებში ამ სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი

კლასების მიხედვით სექტემბრის ბოლოსათვის არ იყო დაზუსტებული. ქვემო-სვანეთის რაიონში კლასების დაკომპლექტებას აფერხებს აღრიცხული ახალგაზრდობის ტერიტორიული გაფანტულობა. დაზუსტებული ცნობები აღრიცხვის შესახებ სექტემბრის დამლევისათვის არ ჰქონია სამტრედიის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას.

ზოგან სკოლები არ არიან მომარაგებული სათბობით, ნავთით, ლამპებით და სხვ. ზემო-სვანეთის რაიონის სკოლებში არ არის საკმაო რაოდენობით ლამპები, სავაჭრო ორგანიზაციები არ ამარაგებენ ამ სკოლებს ნავთით. ცაგერის რაიონის სკოლებში კლასში მხოლოდ თითო ლამპა არის მომარაგებული, ხოლო ნავთით რეგულარული მომარაგება უზრუნველყოფილი არაა.

ზოგ რაიონში სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი საკმაო რაოდენობით. მცხეთის, ზემო-სვანეთის, ხულოს, ბოლნისის, მარნეულის რაიონებში საკმაო რაოდენობით არ არის შემონახული ამ სკოლებისათვის სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები.

ცალკეულ რაიონებში ადგილობრივი ორგანიზაციები არ ეხმარებიან სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში. ზემო-სვანეთის რაიონში ადგილობრივ ორგანიზაციებს არ მიუღიათ ზომები იმისათვის, რომ გაეწიათ დახმარება სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის კონტინგენტის გამოვლინება-აღრიცხვის საქმეში. გორის რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობა არ ზრუნავს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებაზე, არ ამარაგებს მათ შეშით და სხვ. ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ბოლნისის, წალკის, მარნეულის რაიონებში.

ზოგიერთი რაიონის სახალხო განათლების განყოფილებები არ იღებენ გადამჭრელ ზომებს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წინადადება მიეცეს სოფლის ახალგაზრდობის საღამოს დაწყებითი და რვაწლიანი სკოლების დირექტორებს (გამგეებს):

ა) უმოკლეს ვადაში დაუკავშირდნენ სათანადო კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და მტს-ებს, გამოავლინონ და ჩააბან

სწავლაში კოლმეურნე ახალგაზრდები, რომლებიც თავის დროზე არ ყოფილან აღრიცხული.

ბ) სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დასვან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების ხელმძღვანელებთან საკითხი იმის შესახებ, რომ ისინი ყოველმხრივად დაეხმარონ სკოლებს, დროულად მოამარაგონ ისინი შეშით, ნავთით, ნავთის ლამპებით, ლამპის შუშებით და სხვ.

გ) სათანადო კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების ხელმძღვანელებთან დასვან საკითხი იმის შესახებ, რომ აღკვეთილ იქნას სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთა შორეულ სამუშაოზე გაგზავნის პრაქტიკა და სწავლის დაწყების პირველი დღეებიდანვე შეუქმნან მოსწავლე კოლმეურნეებს პირობები მეცადინეობაზე რეგულარულად დასწრებისათვის.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სახალხო განათლების საოლქო, საქალაქო და რაიონულ განყოფილებათა გამგეებს:

ა) ყოველდღიურად შეამოწმონ სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მზადყოფნა ახალი სასწავლო წლისათვის და ნაკლოვანებათა გამოვლინებისთანავე მიიღონ გადამჭრელი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ბ) მიიღონ საჭირო ზომები სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით უზრუნველსაყოფად მასობრივი სკოლების თანაბრად.

გ) რაიონულ ხელმძღვანელ ორგანოებში დასვან საკითხი სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისადმი დახმარებისა და ხელშეწყობის შესახებ და მიაღწიონ ამ სკოლების მდგომარეობისა და მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3669

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 19 ოქტომბერი.

მუშა ახალგაზრდობის და მოზრდილთა სკოლებში სწავლების დაწყების პირველი დღეების შესახებ.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში სწავლების დაწყების პირველი დღეების შედეგები მოწმობს, რომ ახალ სასწავლო წელს ეს სკოლები კარგად მომზადებული შეხვდნენ. დროულად იყო ჩატარებული სკოლებში ჩასაბმელი ახალგაზრდობის აღრიცხვა, დაკომპლექტდა კლასები, სწავლის დაწყებისას სკოლები უზრუნველყოფილი იყვნენ მასწავლებელთა კადრებით. თბილისის მუშა ახალგაზრდობის №№ 4 და 5 საშუალო სკოლებმა ჯერ კიდევ მაისში მიამაგრეს საწარმოებს მასწავლებლები სკოლაში მისაღები კონტინგენტის გამოსავლინებლად და აღსარიცხავად. პარტიის, კომკავშირის და პროფესიული კავშირების ადგილობრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ სკოლებს სწავლაში ჩასაბმელი ახალგაზრდობის გამოვლინება-აღრიცხვის საქმეში.

ქ. ქუთაისის მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების შიერ ასევე დროულად იყო ჩატარებული ახალგაზრდობის სათანადო კონტინგენტის აღრიცხვა. ეს სკოლები დაკომპლექტებულია ადგილობრივი საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებით. მაგალითად, მუშა ახალგაზრდობის № 1 რვაწლიანი სკოლა დაკომპლექტებულია ფაბრიკა „მკერავის“ და მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებით; მუშა ახალგაზრდობის № 2 საშუალო სკოლა, რომელიც აბრეშუმის კომბინატთან არსებობს, დაკომპლექტებულია ამ კომბინატის, აგრეთვე ლიტოპონის ქარხნის და ფაბრიკა „მკერავის“ მუშებით და მოსამსახურეებით.

კარგად ჩაატარა კლასების დაკომპლექტება აგრეთვე ტყიბულის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლამ, რომელშიც ჩაბმულია ტყიბულის მაღაროების მუშები.

კარგად ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობის შედეგად სკოლებში სწავლა ორგანიზებულად დაიწყო. მაგალითად, თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 6 საშუალო სკოლაში სწავლა 1 სექტემბერს დაიწყო ნორმალურად. სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლე გამოცხადდა მეცადინეობაზე, კლასებში დაცული იყო სანიმუშო დისციპლინა და სისუფთავე. სწავლის დაწყებისათვის სკოლას შედგენილი ჰქონდა ყველა სახის გეგმები, მეცადინეობის ცხრილი და სხვ. ასევე ნორმალურად დაიწყო სწავლა თბილისის მუშა ახალგაზრდობის №№ 3, 7, 9, და 11 საშუალო სკოლებში, მოზრდილთა № 4 საშუალო სკოლაში, ბათუმის, ქუთაისის, წულუკიძის, თელავის მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში და სხვ.

სწავლის დაწყებისათვის კარგად ჰქონდა შედგენილი სამუშაო გეგმები თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 4 საშუალო სკოლას, სკოლის წლიური სასწავლო-აღმზრდელობით გეგმაში, ცალკეული დისციპლინების სამუშაო გეგმებში ასახულია ამ სკოლის მუშაობის თავისებურებანი. ასევე დროულად და ხარისხიანად აქვთ შედგენილი სამუშაო გეგმები თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 2 და № 9 საშუალო სკოლებში, მცხეთის რაიონის სოფ. ქვედა ნიჩბისის და წულუკიძის მოზრდილთა საშუალო სკოლებში, თელავის, ტყიბულისა და ქუთაისის № 4 მუშა ახალგაზრდობის, ბათუმის ნავთობსახდელ ქარხანასთან არსებულ მოზრდილთა საშუალო სკოლებში და სხვ.

თბილისის, ქუთაისის, ტყიბულის, წულუკიძის და მთელი რიგი სხვა რაიონების მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში მოსწავლეთა პირადი საქმეები წესიერად არის გაფორმებული, პირად საქმეებში მოიპოვება ყველა საბუთი, რომელთა საფუძველზე ჩარიცხული არიან მოსწავლეები ამა თუ იმ კლასში და სხვ.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლები უზრუნველყოფილი არიან მოსწავლეთა კადრებით. ეს სკოლები სახელმძღვანელოებით, რვეულებით და სხვა სასწავლო ნივთებით მომარაგებული არიან მასობრივი სკოლების თანაბრად.

სასწავლო წლისთვის მომზადებაში სკოლებს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ადგილობრივმა და საწარმოო დაწესებულებებმა. მაგალითად, წულუკიძის ძაფსახვევი ფაბრიკის, ხეტყის სახერხი ქარხნისა და ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელები ქმედით დახმარებას უწევენ წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის სკოლას მისი მატერიალური ბაზის განმტკიცების, გათბობა-განათებით და მოწყობილობით უზრუნველყოფის საქმეში. თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 9 საშუალო სკოლას მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ინს-

ტრუმენტალური ქარხნის ხელმძღვანელობამ, რომელმაც თავისი სახსრებით კაპიტალურად შეაკეთა ამ სკოლის 11 საკლასო ოთახი. მუშა ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეთადმი ხელშეწყობის საქმეში კარგ მაგალითს იძლევა გორის საკონსერვო ქარხანა: ამ ქარხნის 33 მუშა, რომლებიც გორის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში სწავლობენ, გაერთიანებული არიან ქარხნის სამურაბე საამქროს ერთ ბრიგადაში. ქარხანა ყოველმხრივად უწყობს ხელს ამ ბრიგადის წევრებს მეცადინეობაზე დასწრების საქმეში და სხვ. ბრიგადის ხელმძღვანელია მე-11 კლასის მოსწავლე გაიოზ ელიოზიშვილი, რომელიც სკოლაში ხუთებზე სწავლობს, ხოლო წარმოებაში მოწინავე მუშად ითვლება. ასევე მოწინავე არიან სწავლაში და წარმოებაში ბრიგადის სხვა მონაწილეები: მე-11 კლასის მოსწავლეები—გ. ჭყოიძე და ვ. აივაზოვი, მე-8 კლასის მოსწავლე—ნ. მაჭავარიანი, მე-7 კლასის მოსწავლე—რ. დედიაშვილი და სხვები.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა ზოგიერთი სკოლა სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდა ახალ სასწავლო წელს. ცალკეულმა სკოლებმა სუსტად ჩაატარეს სკოლაში ჩასაბმელი ახალგაზრდობის გამოვლინება და აღრიცხვა. მაგალითად, თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 12 საშუალო სკოლის ყოფილ ხელმძღვანელობას სასწავლო წლის მოსამზადებლად სუსტი მუშაობა აქვს ჩატარებული, სკოლაში ჩასაბმელი კონტინგენტი საწარმო-დაწესებულებებში თავის დროზე აღრიცხული არ ყოფილა, არაა მიღებული ზომები სკოლის სათბობით უზრუნველყოფისათვის და სხვ.

სასწავლო წლისათვის ცუდი მომზადების შედეგად ზოგიერთ სკოლაში სუსტი იყო მოსწავლეთა გამოცხადება და მეცადინეობაზე დასწრება სწავლის დაწყების პირველ დღეს. მაგალითად, თბილისის მუშა ახალგაზრდობის № 10 საშუალო სკოლის 164 ჩარიცხული მოსწავლიდან პირველ დღეს გამოცხადდა მხოლოდ 90 კაცი, № 12 საშუალო სკოლაში 129 ჩარიცხული მოსწავლიდან გამოცხადდა 98 კაცი.

ზოგიერთი სკოლა სწავლის დაწყების პირველ დღეებშივე არ იყო უზრუნველყოფილი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმებით, აგრეთვე კალენდარული სამუშაო გეგმებით ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში. მაგალითად, თბილისის მუშა ახალგაზრდობის №8 საშუალო სკოლაში (დირექტორი ა.ავდალიანი) 5 სექტემბრამდე არ იყო როგორც სკოლის წლიური სასწავლო-აღმზრდელობითი, ისე წლის პირველი და მეორე ნახევრის სასწავლო გეგმები, ხოლო ცალკეული დისციპლინების სწავლების გეგმე-

ბი არ იყო დაზუსტებული და განხილული სკოლის დირექტორის მიერ. სტალინირის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. აბაევი) 12 სექტემბრისათვის არ იყო შედგენილი სკოლის წლიური სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გეგმა, ცალკეული საგნების სწავლების კალენდარული გეგმები, კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები და სხვ.

ზოგიერთ სკოლაში ცალკეულ მასწავლებელთა სამუშაო გეგმები მოუფიქრებლად არის შედგენილი. მაგალითად, სოხუმის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ე. გაბუნიას და ჯ. კაკაურიძის სამუშაო გეგმებში არაა ნაჩვენები წერითი სამუშაოების ჩატარების რაოდენობა, პოეტიკის საკითხები მოცემულია მხატვრულ-ლიტერატურულ მასალასთან დაკავშირებით, მაგრამ დალაგებულია შეუსაბამად. აღნიშნული მასწავლებლების გაკვეთილის გეგმებიც არასწორადაა შედგენილი. დასამუშავებელი თემები მოცემულია ზერელედ და დაულაგებლად, თვითონ მასწავლებლები ჩანაწერებში გრამატიკულ შეცდომებს უშვებენ (სარწმუნეობა, შეიპყვრეს). გალის მოზრდილთა საშუალო სკოლის მე-10—11 კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ეკ. გვილიას სამუშაო გეგმაში სრულებით არ არის მოცემული პოეტიკის საკითხები, წერითი მუშაობის რაოდენობა და სახეები, ხოლო მე-11 კლასისათვის არაა გათვალისწინებული გასამეორებელი მასალა არც ლიტერატურასა და არც ენაში.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა ზოგიერთ სკოლაში არ არის მოწესრიგებული ბინით, განათება-გათბობით, მოწყობილობით უზრუნველყოფის საკითხები. მახარაძის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა მოთავსებულია სრულიად შეუფერებელ ბინაში. მიუხედავად მიცემული მითითებებისა, ადგილზე არ არის მიღებული ზომები სკოლის შესაფერისი ბინით უზრუნველსაყოფად.

ზოგიერთი სკოლა ჯერჯერობით არ არის უზრუნველყოფილი სათბობით ზამთრის პერიოდისათვის. მაგალითად, მცხეთის რაიონის სოფ. ქვედა-ნიჩბისის მოზრდილთა სკოლაში სექტემბრის პირველ დღეებში არ იყო მიტანილი არც ერთი კუბ. მეტრი შეშა. სათბობით არ არის უზრუნველყოფილი ფოთის მუშა ახალგაზრდობის სკოლაც.

მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებს ზოგიერთ შემთხვევაში არ გააჩნიათ კაბინეტები და სასწავლო ხელსაწყოები. მაგალითად, ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის № 3 საშუალო სკოლას არ გააჩნია კაბინეტ-ლაბორატორიები ფიზიკის, ქიმიისა

და ბიოლოგიის სწავლებისათვის, არ მოეპოვება ხელსაწყო-იარაღები და რეაქტივები სწავლების გათვალსაჩინოებისათვის. ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან სტალინირის, მცხეთის, ჩხოროწყუს რაიონების მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლები. ზოგ შემთხვევაში დილის სკოლები არ აძლევენ საშუალებას ამ სკოლებს გამოიყენონ დილის სკოლის ხელსაწყო-იარაღები. კაბინეტებისა და ხელსაწყოების უქონლობა მეტად უარყოფით გავლენას ახდენს სკოლების მუშაობაზე და არ იძლევა საშუალებას სათანადო სიმაღლეზე იქნეს დაყენებული ამ სკოლებში სწავლების საქმე.

შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა ნაწილი მოუმზადებელი შეხვდა ახალ სასწავლო წელს. მაგალითად, სოხუმის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში მე-5 კლასში ქართული ენის გაკვეთილზე მასწავლებელ ე. გაბუნიას გაკვეთილის გეგმა არ ჰქონდა საკმაოდ დაზუსტებული. წინადადების გარჩევის დროს ახსნა-განმარტებაში მასწავლებელი გრამატიკული კატეგორიების აზრობრივ და ფუნქციონალურ მხარეს ყურადღებას არ აქცევდა, საანალიზო ტექსტი წინასწარ შედგენილი და მოფიქრებული არ ჰქონდა. თითონ გაკვეთილის მიმდინარეობა იყო მოსაწყენი და საჭირო ინტერესს მოსწავლეებში ვერ იწვევდა.

ამავე სკოლის მე-9 კლასში ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე (მასწავლებელი ჯ. კაკაურიძე) მასწავლებელი კითხულობდა წინა გაკვეთილზე მიცემული ნაწარმოების გაგრძელებას („აბოს წამება"), გზადაგზა ტექსტს თარგმნიდა ახალი ენით, მაგრამ ვერ კითხულობდა გამართულად და გამომეტყველებით, წაკითხულს არ უკეთებდა მხატვრულ ენობრივ კომენტარებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ არც ერთ მოსწავლეს სახელმძღვანელო არ გააჩნდა.

გალის მოზრდილთა საშუალო სკოლაში ქართული ენის გაკვეთილზე მე-6 კლასში (მასწავლებელი ნ. გულუა) მოსწავლეები საშინაო დავალებას გრ. ორბელიანის ლექსს: „გმირნო, მამულის მადიდნო" (საზეპირო) კითხულობდნენ უინტონაციოდ, ლექსის იდეა მათ არ ესმოდათ. ახალ მასალას—კრწანისის ბრძოლა ნ. ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა" როგორც მასწავლებელი, ისე მოსწავლეები კითხულობდნენ ცუდად. წაკითხულის შინაარსზე მასწავლებელი არ აკეთებდა არც მხატვრულ, არც ლექსიკურ ახსნა-განმარტებას. ტექსტის კითხვის შემდეგ მექანიკურად დაიწყო გრამატიკა—ზმნის პირიანობა. მასწავლებელი გულუა დაუფლებული არ არის მხატვრული მასალის დამუშავების მეთოდიკას, ამასთან ისტორიული ცოდნაც მას სუსტი აქვს. ამის შედეგად მასალა ისწავლება ისტორიულ-სოციალურ გარემოსთან მოწყვეტილად.

იმავე სკოლის მე-9 კლასში ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე მასწავლებელმა ეკ. გვილიამ გამოამჟღავნა თავისი სუსტი მომზადება. იგი დაუფლებული არ არის მხატვრული ლიტერატურის, განსაკუთრებით ძველი ლიტერატურის სწავლების მეთოდიკას. დასამუშავებელ მასალას იგი არ უკეთებდა იდეურ-ლექსიკურ ანალიზს, მხატვრულ ადგილებზე ყურადღებას არ ამახვილებდა, ძველი ტექსტის ენობრივ თავისებურებებს ხაზს არ უსვამდა და სხვ.

ზოგიერთ სკოლაში ცუდად არის დაყენებული რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებაც. მაგალითად, სოხუმის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში რუსული ენის გაკვეთილზე მე-7 კლასში (მასწავლებელი ლ. შკაბარნაია) მოსწავლეები ტექსტს შეგნებულად და სწორი აქცენტით ვერ კითხულობდნენ. ახსნითს კითხვას აბრკოლებს ის გარემოება, რომ მასწავლებელმა ქართული ენა სრულებით არ იცის. ენობრივ მუშაობას მასწავლებელი არ უკავშირებს ლიტერატურულ მასალას. ამ კლასში მუშაობას ართულებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ კლასის 10 მოსწავლიდან სახელმძღვანელო წიგნი აქვთ მხოლოდ სამ კაცს.

გალის მოზრდილთა საშუალო სკოლაში უფროსი კლასების რუსული ენის მასწავლებელს ნ. კოშუდსკაიას მეთოდური გამოცდილება არ გააჩნია. გრამატიკას იგი ასწავლის წიგნურად, ცოცხალი მეტყველებისა და ლიტერატურულ მასალასთან დაკავშირების გარეშე. მოსწავლეთა რვეულებში ჩანაწერებს მასწავლებელი კონტროლს არ უწევს, ჩანაწერები კი სავსეა ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და აზრობლივი შეცდომებით.

სტალინირის მოზრდილთა საშუალო სკოლაში ისტორიის მაწავლებელი ა. პაპისიმედოვი უგეგმოდ მუშაობს. მე-11 კლასში ისტორიის სწავლება მას არ აქვს დაწყებული პროგრამის შესაბამისად. გაკვეთილზე მასწავლებელი მოუმზადებელი იყო. მან ზუსტად ვერ განსაზღვრა გაკვეთილზე გარჩეული საკითხები.

გორის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მე-7 კლასში გეოგრაფიის გაკვეთილზე (მასწავლებელი ე. რომანიშვილი) მოსწავლეები ამჟღავნებდნენ საგრძნობ ჩამორჩენილობას გეოგრაფიის ცოდნაში. ზოგიერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო განესაზღვრა რუკაზე დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარე, გეოგრაფიული ცნებების განმარტებისას უშვებდა უხეშ შეცდომებს, შავ ზღვას ასახელებდა აღმოსავლეთ საქართველოში, ამბობდა, რომ შავი ზღვა იყინება ოქტომბერში და სხვ. მასწავლებელი თითქმის სრულებით არ ავარჯიშებს მოსწავლეებს რუკაზე, ვერ იწვევს მათში ინტერესს საგნისადმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სახალხო განათლების საოლქო, საქალაქო და რაიონული განყოფილებების გამგეებს:

ა) დაუყოვნებლივ მიიღონ გადამჭრელი ზომები იმ ნაკლოვანებათა ამთავითვე ამოსაფხვრელად, რომლებიც გამოვლინებულია მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების მუშაობაში სწავლის დაწყების პირველ დღეებში.

ბ) უმოკლეს ვადაში შეამოწმონ, რამდენად უზრუნველყოფილი არიან მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლები წლიური და ნახევარწლიური სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის, ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში მასწავლებელთა კალენდარული, კლასის ხელმძღვანელთა და სხვა სახის გეგმებით და ასახულია თუ არა ამ გეგმებში მუშა ახალგაზრდობის და მოზრდილთა სკოლების მუშაობის თავისებურებანი.

გ) შეამოწმონ მასწავლებელთა დატვირთვის საკითხი ცალკეულ სკოლებში და რაციონალურად გაანაწილონ მასწავლებელთა კადრები მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებში.

დ) მიიღონ სათანადო ზომები მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების შესაფერისი ბინებით, გათბობა-განათებით, კაბინეტებით და ხელსაწყოებით უზრუნველსაყოფად და ამასთან ერთად მისცენ ამ სკოლებს შესაძლებლობა შეუფერხებლად გამოიყენონ დილის სკოლების კაბინეტები და ხელსაწყოები.

ამ სკოლებისათვის შეარჩიონ ისეთი დილის სკოლის შენობა, რომელსაც მოეპოვება საჭირო კაბინეტები და სასწავლო მოწყობილობა.

ე) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლებზე, სისტემატურად შეამოწმონ სასწავლო მუშაობის მიმდინარეობა ამ სკოლებში და დროულად მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. დაევალოს გორის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას მიიღოს საჭირო ზომები გორის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეთა იმ ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, რომელსაც ისინი გეოგრაფიის ცოდნაში იჩენენ.

3. საგეგმო-საფინანსო განყოფილებამ მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების გათბობა-განათებით, კაბინეტებით და ხელსაწყოებით უზრუნველსაყოფად გაითვალისწინოს 1950 წლის ბიუჯეტში საჭირო სახსრები.

4. მატერიალური ფონდების განყოფილებამ გააძლიეროს კონტროლი ადგილებზე გაგზავნილი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების სწორად განაწილებისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების საქმეზე და მიიღოს ზომები აღნიშნულ სკოლების სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით უზრუნველსაყოფად.

5. დაევალოს მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების დირექტორებს სისტემატურად შეამოწმონ მასწავლებელთა მუშაობა, მოისმინონ გაკვეთილები დადგენილი რაოდენობით, გაუწიონ მასწავლებლებს მეთოდური დახმარება და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე რეგულარულად მოისმინონ ცალკეულ სასწავლო დისციპლინების სწავლების მიმდინარეობის საკითხები და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი სასწავლო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

6. სასწავლო წლისათვის ცუდად მომზადებისა და გაკვეთილის სუსტად ჩატარებისათვის მიეთითოს შემდეგ მასწავლებლებს: სოხუმის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ე. გაბუნიას და ჯ. კაკაურიძეს და რუსული ენის მასწავლებელს ლ. შკაბარნაიას, გალის მოზრდილთა საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ნ. გულუას და ეკ. გვილიას და რუსული ენის მასწავლებელს ნ. კოშუდსკაიას, სტალინირის მოზრდილთა სკოლის ისტორიის მასწავლებელს ა. პაპისიმედოვს, გორის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელს ე. რომანიშვილს.

დაევალოს აღნიშნულ მასწავლებლებს გააძლიერონ მუშაობა თავიანთი კვალიფიკაციის და პედაგოგიური დახელოვნების ასამაღლებლად და უმოკლეს დროში გააუმჯობესონ მუშაობა.

აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების სამხრეთ ოსეთის საოლქო და გორის რაიონულმა განყოფილებებმა შეამოწმონ ზემოდაღნიშნული მასწავლებლების მუშაობა და, უკეთუ ისინი საფუძვლიანად არ გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას, დასვან საკითხი მათ მიმართ შესაფერისი ზომების მიღების შესახებ.

8. ეს ბრძანება განხილულ იქნეს მუშა ახალგაზრდობისა და მოზრდილთა სკოლების პედსაბჭოს სხდომებზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 3523

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 1 ოქტომბერი

ფიზიკისა და ქიმიის სწავლებასთან დაკავშირებით ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების შესახებ.

გავეცანი რა საშუალო სკოლებში ფიზიკისა და ქიმიის სწავლებასთან დაკავშირებით სადემონსტრაციო ექსპერიმენტების მოწყობისა, ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისა და თვალსაჩინოების გამოყენების საქმის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წლის № 476 და № 505 ბრძანებების შესრულების მიმდინარეობას გორის რაიონის საშუალო სკოლებში, აღვნიშნავ, რომ ზემოხსენებულ ბრძანებათა შესაბამისად ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტების შევსების, კეთილმოწყობის, გამოყენებისა, და მოვლა-დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს მოპოვებული გორის ქალთა 1 საშუალო სკოლას (დირექტორი კ. ჩიკოიძე).

მაგრამ ამ რაიონის საშუალო სკოლების დიდ ნაწილს,—მერეთის, ტყვიავის, ტირძნისის, ნიქოზის, შინდისის, ვარიანის, ატენისა და გორის ვაჟთა II სკოლებს, არ განუხილავს აღნიშნული ბრძანებები და ამ ბრძანებათა შესაბამისად პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამთ. მაგალითად, ტყვიავის საშუალო სკოლაში ფიზიკის კაბინეტის ოთახი საკლასო ოთახად არის გამოყენებული, ხოლო ფიზიკის ხელსაწყო-იარაღები კარადებშია ჩაკეტილი და დირექტორის კაბინეტში არის მოთავსებული.

განათლების სამინისტროს მოძრავი ლაბორატორია-სახელოსნოს მიერ შეკეთებული და სამუშაოდ გამზადებული ფიზიკის ხელსაწყო-იარაღების მნიშვნელოვანი ნაწილი ტირძნისისა და ტყვიავის საშუალო სკოლებში მოუვლელობის გამო ისევ დაზიანებული და გამოუყენებელია.

მერეთის საშუალო სკოლის დირექტორს დღემე არ უფიქრია ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებისათვის ოთახების გამოყოფაზე და მათ კეთილმოწყობაზე, მაშინ როდესაც სკოლას ამის სრული შესაძლებლობა აქვს. ამ სკოლაში ქიმიისა და ბიოლოგიის რეაქტივები და ხელსაწყო-იარაღები დამტვერიანებული და გამოუყენებელია.

ფიზიკის კაბინეტში არსებული ხელსაწყო-იარაღების აღრიცხვის საქმე დასახელებულ სკოლებში სრულიად მოუწესრიგებელია, საინვენტარო საალრიცხვო ჟურნალში ზოგიერთი ხელსაწყო სრულიად არაა შეტანილი, რაც ხელს უწყობს მეტად ძვირფასი ხელსაწყო-იარაღების დაკარგვას და განიავებას.

ყოველივე ამის შედეგად ძლიერ დაბალ დონეზე დგას ფიზიკისა და ქიმიის სწავლება მერეთის, ტყვიავის, ტირძნისის, ნიქოზის და შინდისის საშუალო სკოლებში. შინდისის საშუალო სკოლის ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლები გეურქოვა და მ. ეშმაკურაშვილი არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის,—1/IX-დან 14/IX-დე მათ არც ერთი ცდა არ ჩაუტარებიათ მიუხედავად იმისა რომ მათ ამის საშუალება ჰქონდათ. ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქვემო ნიქოზის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი გ. ქარელიძე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1

ფიზიკისა და ქიმიის სწავლების საქმეში თვალსაჩინოებისა და ექსპერიმენტის გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წლის № 476 და № 505 ბრძანებების შეუსრულებლობისათვის:

ა) მოიხსნას თანამდებობიდან მერეთის საშუალო სკოლის დირექტორი ა. პაპიტაშვილი;

ბ) გამოეცხადოს საყვედური ტყვიავის საშუალო სკოლის დირექტორს ნიკ. ქარელს, შინდისის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელ მ. ეშმაკურაშვილს, იმავე სკოლის ქიმიის მასწავლებელ ც. გეურქოვას და ქვემო ნიქოზის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელ მ. ქარელიძეს;

გ) განიტვირთოს შინდისის საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. ეშმაკურაშვილი,—ჩამოერთვას მას მათემატიკის გაკვეთილები ფხვენიის რვაწლიან სკოლაში.

§ 2

ვავალებ გორის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს რ. ჯაფიაშვილს მიიღოს გადამჭრელი ზომები რაიონის რვაწლიან და საშუალო სკოლებში ფიზიკისა და ქიმიის სწავლების საქმეში თვალსაჩინოებისა და ექსპერიმენტის დასანერგად და პირველი მეოთხედის დასასრულისათვის ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ მომახსენოს პირადად მე.

§ 3

ეს ბრძანება განხილულ იქნეს ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე ა. წ. 10 ოქტომბრამდე.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი ვ. კუპრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3960

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1949 წლის 25 ნოემბერი.

მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში ჩატარებული შემოწმების შედეგად აღვნიშნავ, რომ ყაზბეგის რაიონის ყაზბეგის და სიონის საშუალო, გორისციხის და არშის რვაწლიანი სკოლების სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაში მიღწეულია ზოგიერთი წარმატება.

კარგად არის დაყენებული რუსული ენის სწავლება ყაზბეგის საშუალო სკოლის III კლასში (მასწ. მ. გოდერძიშვილი) და გორისციხის რვაწლიანი სკოლის IV კლასში (მასწავ. ქ. ჩქარეული). აღნიშნული მასწავლებლები მომზადებულად ატარებენ გაკვეთილებს, მოსწავლეებმა კარგად იციან შესწავლილი სიტყვების მოხმარა, თავისუფლად ადგენენ ახალ წინადადებებს და დასმულ კითხვებზე გაბედულად პასუხობენ. კარგად იციან რუსული ლიტერატურის პროგრამული მასალა და სათანადოთ ერკვევიან გრამატიკის საკითხებში ყაზბეგის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები (მასწ. ვლ. გოგიშვილი). მათ დამაკმაყოფილებლად დააახასიათეს ლერმონტოვის ნაწარმოებიდან—„ჩვენი დროის გმირი"—ბელა, აზამატი, პეჩორინი და როგორც მორფოლოგიურად ისე სინტაქსურად სწორად გაარჩიეს წინადადებანი.

ერთგვარი გაუმჯობესებაა მიღწეული გერმანული ენის სწავლებაშიაც სიონის VI კლასში (მასწ. თ. ავსაჯანიშვილი); მოსწავლეები შედარებით. გამართულად კითხულობენ, თარგმნიან გააზრებულად და დასმულ კითხვებზე დამაკმაყოფილებლად პასუხობენ.

კარგად არის ისტორიის სწავლება ყაზბეგის საშუალო სკოლის XI კლასში (მასწ. თ. ჟორჟიკაშვილი). ამ კლასის მოსწავლეებმა ისტორიაში საკმაო თანმიმდევრობით ახსნეს სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის მიზეზები, დამაჯერებლად აღწერეს ამ ომის მთავარი მომენტები, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი როლი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა, სამოქალაქო ომიდან მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლა და სხვა.

ამავე სკოლის IX კლასის (მასწ. თ. სანაძე) მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად იციან საბჭოთა კავშირის ისტორიის I ნაწილიდან ძირითადი ფაქტები. საპროგრამო მასალის ძირითადი საკითხების საკმაო ცოდნას ამჟღავნებენ აგრეთვე სიონის XI კლასის მოსწავლეები (მასწ. კლ. ითონიშვილი).

დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ქიმიის სწავლება სიონის საშუალო სკოლის VIII კლასში (მასწ. თ. ავსაჯანიშვილი). მოსწავლეებს კარგად აქვთ შეთვისებული გავლილი მასალა, საფუძვლიანად იციან დაშლისა და შეერთების რეაქციები, ქიმიური და ფიზიკური მოვლენები, ნივთიერებათა გაწმენდის ტექნიკაში ხმარებული ხერხები და სხვ. ამ სკოლის XI კლასის მოსწავლეები სწორად სწერენ ქიმიურ რეაქციათა ტოლობებს, ფოსფორის მჟავეებს, ორ და სამ კალციუმიან ორთოფოსფორმჟავის მარილებს, შეგნებულად იციან აზოტმჟავის მიღება, თვისებები, მისი გამოყენება და სხვ.

მიუხედავად მიღწევებისა, ყაზბეგის რაიონის ზოგი სკოლის მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა და ლიტერატურა კობის რუსულ საშუალო სკოლაში. თითქმის ყველა კლასში რუსული ენისა და ლიტერატურის პროგრამული მასალის შესაბამისი სიტყვათა მარაგი მოსწავლეებს არ გააჩნიათ. IX—X კლასის მოსწავლეებს (მასწ. ტ. გოზაევა) უჭირთ თავისუფალი თხრობა, გავლილი მასალიდან ბევრი სიტყვის მნიშვნელობა არ ესმით; IX კლასის არც ერთ მოსწავლეს არ ესმოდა სიტყვა—„Недоросль"-ის მნიშვნელობა, არა აქვთ გამომუშავებული სიტყვების სწორად გამოთქმის ჩვევა. მაგალითად, სიტყვებს ასე გამოთქვამენ: „Выполнял поручение свою матери"... „Он себе длохо чувствовался с такой матери" და ა. შ. მასწავლებელი გოზაევა არასწორად ატარებს საკონტროლო წერით მუშაობას. მოსწავლეებს წინასწარ აცნობს საწერ თემას და რამდენჯერმე გასწორებულ თემაზე ასრულებინებს მოსწავლეებს საკონტროლო სამუშაოს. ამდენადვე მოსწავლეების მიერ წერითი ნამუშევრები არ გამოხატავენ მათ წერითი კულტურის დონის ფაქტიურ მდგომარეობას. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი გორისციხის რვაწლიანი სკოლის VIII კლასში (მასწ. გ. ჩქარეული).

მეთოდურად გაუმართავ გაკვეთილებს ატარებს რუსულ ენაში V—VI კლასებში მასწ. ა. მისოსოვი. V კლასში მასალის—„Подвиги Геракла"—გამოკითხვის დროს მასწავლებელს არც ერთი სიტყვის ცოდნა არ შეუმოწმებია მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხრობა ბევრ

ძნელად გასაგებ სიტყვებს შეიცავს; მთელი გაკვეთილი ჩაატარა მხოლოდ ტექსტის კითხვით. ცუდად არის დაყენებული რუსული ენის სწავლება კობის რუსული საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში; მასწავლებლები ეკ. აბაევა და ფ. აბაევა თვითონ არ არიან დაუფლებულნი რუსულ ენას. მასწ. ფ. აბაევამ ასეთი კითხვები დაუსვა კლასს: „Что было около болоте?“, „Какое время была, обедь или какое время?“.

მასწ. ეკ. აბაევამ III კლასში წინადადების—Я иду в школу—გარჩევისას მოსწავლეებს აუხსნა, რომ ამ წინადადებაში არსებითი სახელი არის „Я“, რადგან ის ქვემდებარეაო.

ასევე მოუმზადებელი არიან რუსულ ენაში გორისციხის რვაწლიანი და ყაზბეგის საშუალო სკოლის II კლასის მასწავლებლები ე. კობერიძე და ნ. შადური; ნ. შადური რუსული ენის გაკვეთილებს ქართულად ატარებს.

ყაზბეგის საშუალო სკოლის V და VII კლასებში (მასწავლებლები ლ. ღუდუშაური და თ. ზაქაიძე) რუსული ენის გრამატიკას ლიტერატურული მასალის გარეშე ასწავლიან. ეს მასწავლებლები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ლექსიკაზე მუშაობას, რის შედეგაც სიტყვათა მარაგი იმდენად ღარიბია, რომ მოსწავლეებს არ შეუძლიათ მარტივი ამბის თავისუფლად თხრობა:

აღსანიშნავია, რომ ყველა სკოლაში (შემოწმებულ) გაკვეთილის გეგმა მასწავლებლებს ზერელედ და ფორმალურად აქვთ შედგენილი და არავითარ სახელმძღვანელო დოკუმენტს გაკვეთილზე ის არ წარმოადგენს. წლიური კალენდარული გეგმები შედგენილი აქვთ 1946 წლის პროგრამების მიხედვით. არ ექცევა ყურადღება აგრეთვე წერითი საშინაო დავალებების შესრულებას და გასწორებას. საკონტროლო წერით სამუშაოებში მოსწავლეების მიერ დაშვებული შეცდომები არ სწორდება. ანალოგიური მდგომარეობა არის სიონის საშუალო და არშის რვაწლიან სკოლებში.

ძალზე ცუდად არის დაყენებული გერმანული ენის სწავლება არშის რვაწლიან სკოლის (მასწ. გრ. მარსაგიშვილი) V და VII კლასებში. მოსწავლეებს უჭირთ კითხვა, არ გააჩნიათ სიტყვების მარაგი და დასმულ კითხვებზე სრულებით ვერ ახერხებენ პასუხის გაცემას. ყაზბეგის საშუალო სკოლის X და XI კლასის (მასწ. ალ. ხუციშვილი) მოსწავლეებმა კითხვა თითქმის არ იციან. საგნის მასწავლებელი თვით არ იცნობს ფონეტიკის ძირითად წესებს, სიტყვებს: „Mäuscheu“ და Häuschen“-ს ასე კითხულობს: „მაუშენ“, „ჰაუშენ“; ამ კლასების მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები მასწავლებლის მიერ გულდასმით არ სწორდება. 6—7 სტრიქონიან ნაწერში

F1093

12—13 შეცდომაა გაუსწორებელი და ნამუშევრები შეფასებულია „4“-ზე და „5“-ზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა, თითქმის ყველა (შემოწმებულ) რვაწლიან და საშუალო სკოლებში. ამ სკოლებში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობას. ფიზიკა ისწავლება ყოველგვარ თვალსაჩინოების გარეშე.

მასწავლებლები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებს და მითითებებს ფიზიკის სწავლების საქმეში თვალსაჩინოების გამოყენების ღონისძიებათა შესახებ. სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების მხრივ ფიზიკის მასწავლებლებს არ ეწევა სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი. ამის შედეგად მოსწავლეთა ცოდნა ფიზიკაში ძალზე დაბალია. ასე, მაგალითად, სიონის საშუალო სკოლის X კლასში (მასწ. ს. ხულელიძე) გამოძახებულ 7 მოსწავლიდან მხოლოდ ერთმა მოსწავლემ შეძლო ნიუტონის III კანონის სწორად ჩამოყალიბება; მოსწავლეები არ არიან ნავარჯიშევი ამოცანების ამოხსნაზე და ვერ ახერხებენ მარტივი სქემების აგებას. მასწავლებელი არ არის დაუფლებული საგანს. ახალი მასალის—სხეულთა თავისუფალი ვარდნის ახსნის დროს სანახევროდ წიგნში იცქირებოდა და ამ საკითხზე იმის მესამედიც არ უამბო კლასს, რაც სახელმძღვანელოშია მოცემული. სასწავლო წლის დასაწყისიდან, მთელი მეოთხედის მანძილზე კლასში არავითარი სახის ცდა არ ჩატარებულა.

თვალსაჩინოების გარეშე ისწავლება ფიზიკა ყაზბეგის საშუალო სკოლის VII კლასში (მასწ. ე. ვალიშვილი); მოსწავლეებმა არ იციან ხის ნაჭრის მოცულობის გაზომვა მენზურით, ვერ განმარტეს ხვედრითი წონა და ვერ არჩევენ დამოკიდებულებას წონასა, მოცულობასა და ხვედრით წონას შორის.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქიმია კობის საშუალო სკოლაში; მასწავლებელი ს. აბაევა არ იცნობს ქიმიის პროგრამას, არ არის დაუფლებული საგნის სწავლების მეთოდებს; XI კლასში გაკვეთილზე შეცდომები დაუშვა ძმრისა და ბენზოეს მჟავის ალდეჰიდების და კეტონების ახსნის დროს; მოსწავლეებმა არ იციან აცეტელენის, ფენოლის, ბენზოლის და სხვა ძირითადი ნაერთების მიღება და თვისებები. ასევე დაბალ დონეზეა დაყენებული ქიმიის სწავლება არშის რვაწლიან სკოლაში (მასწ. თ. გელაძე); მოსწავლეებმა არ იციან წყალში ჟანგბადისა და წყალბადის მოცულობითი შეფარდება, არ აქვთ პრაქტიკული წარმოდგენა მარილთა ხსნადობაზე, წმინდა წყლის ფიზიკურ თვისებებზე და სხვ.

სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი მათემატიკის სწავლების საქმეში. მოსწავლეებს არ ახსოვთ გავლილი საპროგრამო მასალის ძირითადი საკითხები; მასწავლებლები არ ავარჯიშებენ მოსწავლეებს მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნაზე, არითმეტიკაში არ იცნობენ ზეპირი ანგარიშის ელემენტარულ ხერხებს, ამოცანის პირობის შინაარსის შემოკლებულად ჩაწერას და ამოხსნის მეთოდებს; ყურადღებას არ აქცევენ საკონტროლო წერითი სამუშაოებისათვის საწერი თემების სათანადოდ შერჩევას, შემოღებული აქვთ საკლასო-საშინაო რვეულებში წესების და განსაზღვრებათა ჩაწერის პრაქტიკა.

სიონის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებს წარმოდგენა არ აქვთ შეფარდებითი რიცხვების შედარებაზე, არ იციან წილადის მნიშვნელის ირაციონალობისაგან განთავისუფლების ხერხი და ამ ოპერაციას წილადის მნიშვნელისაგან განთავისუფლებას უწოდებენ. ვერ ახერხებენ არითმეტიკაში ამოცანების ამოხსნას. ამავე სკოლის IV კლასის (მასწ. ქ. დავითაშვილი) მოსწავლეები; ისინი არ იცნობენ ზეპირი ანგარიშის ელემენტარულ ხერხებს. ორნიშნა რიცხვების ზეპირად გამოკლებისას ყველა მოსწავლე ქვეშ მიწერის ხერხს იშველიებს. გარბანის დაწყებითი სკოლის მასწავლებლები—რ. ხულელიძე და ნ. ღუდუშაური, არ იცნობენ არითმეტიკაში ამოცანის პირობის ტექსტის დამუშავებისა და ამოცანის პირობის შემოკლებულად ჩაწერის ხერხებს, ამოცანის ამოხსნის დროს ყურადღებას არ აქცევენ რიცხვით მონაცემებზე სახელწოდებათა მიწერას. დაბალია არშის რვაწლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლეთა მომზადება ალგებრაში (მასწ.კ.ელოშვილი); ისინი ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებენ რიცხვით და ასოით იგივობას, არ იციან განტოლების განმარტება; პირველ მეოთხედში კლასში 2-ჯერ არის ჩატარებული საკონტროლო წერა და საწერ თემად ორივეჯერ აღებულია მარტივი მაგალითები რიცხვით კოეფიციენტებიან განტოლებების ამოხსნაზე. არანორმალურ პირობებში ისწავლება მათემატიკა ყაზბეგის საშუალო სკოლის IX—XI კლასებში (მასწ. ვ. ხახლიშვილი); ამ კლასებში მათემატიკას ასწავლის განათლების განყოფილების გამგე ამხ.ვ.ხახლიშვილი და მის მიერ გაკვეთილების $^2/_3$ მეტი გაცდენილია.

უხარისხოდ ატარებენ საკონტროლო წერით სამუშაოებს ყაზბეგისა და სიონის საშუალო სკოლის მასწავლებლები ე.ვალიშვილი და გ.ცხვედაძე. ყაზბეგის საშუალო სკოლის VIII კლასში გეომეტრიაში, 2 ნოემბერს, საწერ თემად კლასს მიეცა გეომეტრიულ ამოცანათა კრებულიდან ამოღებული ამოცანები, რომლებიც

მოსწავლეებს წინასწარ ამოხსნილი ჰქონდათ საკლასო-საშინაო რეფერატებში. მიუხედავად ამისა, ამოცანა ვერცერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა სწორად. კლასში არ იყო შექმნილი ნორმალური პირობები წერითი მუშაობის ნორმალურად ჩატარებისათვის. 11 მოსწავლიდან მხოლოდ 3-ს ჰქონდა სამელნე და ორს სახაზავი. სიონის საშუალო სკოლის X კლასში ალგებრაში საწერი თემა ერთ ვარიანტად მიეცა და ამავე დროს თითო მერხზე 3-3 მოსწავლე იჯდა.

სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ისტორიის სწავლების საქმეშიაც.

კობის რუსული საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან ძირითადი ფაქტები და მოვლენები ნიდერლანდის რევოლუციიდან, რელიგიური ომები საფრანგეთში, აბსოლუტიზმის გაძლიერება და რიშელიე, გლეხთა ომები გერმანიაში, რეფორმაცია და სხვ. ვერ ასახელებენ ვერც ერთ თარიღს. ამავე სკოლის არც X კლასშია უკეთესი მდგომარეობა. მე-11 კლასის მოსწავლეებს ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმპერიალიზმზე, არა აქვთ გააზრებული რუსეთის იმპერიალიზმის სამხედრო-ფეოდალური ხასიათი, სტოლიპინის აგრარული რეფორმის მნიშვნელობა. ამ კლასში ჩატარებულია 30 გაკვეთილი და გავლილია მხოლოდ 15 საათის მასალა. საქართველოს ისტორია სრულიად არ ისწავლება. მასწავლებელი მ. ხურუმოვა ვერ ატარებს მოფიქრებულ, გამართულ გაკვეთილებს. თხრობაში უშვებს ფაქტიურ შეცდომებს („ოცდაათწლიანი ომი დამთავრდა ზავით ქალაქ ვესტფალში"), სტოვებს მასალის მნიშვნელოვან მომენტებს, არ აქვს შედგენილი გამეორების გეგმა.

გორისციხის 8-წლიანი სკოლის (მასწ. სეთურიძე ელისაბედი) VI კლასის მოსწავლეებმა არ იციან ისეთი მასალაც, რაც ამ ერთი თვის მანძილზე აქვთ ნასწავლი. VIII კლასის მოსწავლეებს და თვით მასწავლებელსაც მწვალებლები (ერეტიკოსები) წამებულნი ჰგონიათ. მასწავლებელი ვერ ამჩნევს მოსწავლეთა შეცდომებს, არ ასწორებს მათ, ან შეცდომით ასწორებს; მოსწავლე ლაპარაკობს „რომის პირველი მეფე იყო რომული, მასწავლებელი „უსწორებს", „რომი იყო პირველი მეფეო". ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელი ვერ არკვევს თემის ძირითად საკითხებს გასაგებად, სტოვებს მნიშვნელოვან ნაწილს. ასე, მაგ. „პლებეების და პატრიციების ბრძოლის" ახსნისას, ვერ განმარტა ტრიბუნატი, ტრიბუნების ფუნქციები, „ვეტო", გამოტოვა ნობილიტეტის ჩამოყალიბება, რომის რესპუბლიკაში მაღალი თანამდებობების დახასიათება. ახალი მასალის ახსნას მოანდომა 9 წუთი.

ზოგიერთი ნაკლი ახასიათებს სიონის საშ. სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეთა ცოდნასაც. მათ სათანადოდ გააზრებული არა აქვთ ისტორიული ფაქტები, არ ესმით რუსეთის ხალხთა დამსახურება მონღოლთა ბატონობისაგან ევროპის გადარჩენაში, საქართველოს ფეოდალური მონარქიის უმაღლესი თანამდებობის პირთა ფუნქციები. ბოლშევიკების დამოკიდებულება I და II სახელმწიფო საათბიროსადმი და სხვა. ამის მთავარი მიზეზია მასწ. ითონიშვილის გაკვეთილის ზოგიერთი მეთოდური ნაკლი. მასწავლებელმა ისეთი დიდი მასალის ახსნას, როგორიცაა „ალექსანდრე I მეფობა“ 8 წუთი მოანდომა, რის გამო სათანადოდ ვერ გააშუქა მასალის ყველა საკითხი.

ყაზბეგის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეებმა (მასწ. თ. ჟორჟიკაშვილი) სუსტად იციან ქრონოლოგია. საპროგრამო მასალის გავლაში და გამეორებაში კლასი ჩამორჩენილია.

ძალზე დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ყაზბეგის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწ. თ. სანაძე), მათ არ იციან თითქმის არც ერთი ძირითადი ფაქტი, ვერ სთქვეს, თუ რომელი ეროვნების იყო ცნობილი რუსი ვაჭარი მოგზაური ათანასე ნიკიტინი; არ იციან მაგელანის მოგზაურობა, წოდებრივ-წარმომადგენლობითი დაწესებულებანი, რეფორმაცია, იტალიის აღორძინება და მისი გამოჩენილი წარმომადგენლები და სხვ.

ყველა შემოწმებულ სკოლას (გარდა ყაზბეგის საშუალო სკოლისა) დიდი რაოდენობით აკლია სასკოლო დგამ-ავეჯი (მერხები, დაფები, სკამები, მაგიდები). არშის რვაწლიან სკოლაში მერხების უქონლობის გამო 6 საკლასო ოთახი გამოუყენებელია და მეცადინეობა ორ ცვლად მიმდინარეობს 5 ოთახში; ამ სკოლის I კლასში 30 მოსწავლე 7 მერხზე ზის და სამასწავლებლოში მასწავლებელთათვის არ არის არც მაგიდა და არც სკამები. სიონის საშუალო სკოლის გადასვლას ახლად აშენებულ სასკოლო შენობაში ხელს უშლის მერხების, დაფებისა და მაგიდების უქონლობა.

ნაკლები ყურადღება ექცევა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებას. სკოლებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს განთესვას—სასწავლო წლის დასაწყისიდან მარტო გარბანის დაწყებით სკოლის (გამგე ს. გომიაშვილი) 53 მოსწავლიდან განითესა 14 მოსწავლე, ხოლო სიონის საშუალო სკოლის I—VII კლასებიდან—6 მოსწავლე. სკოლებში მოუგვარებელია სკოლაში ჩარიცხულ და სკოლიდან გასულ მოსწავლეთა აღრიცხვის საქმე—არსად არ არის I კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა წინასწარი აღწერის სიები და მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი.

სკოლებს მნიშვნელოვანი რაოდენობით აკლია სახელმძღვანელოები. მაგალითად, ყაზბეგის საშუალო სკოლაში IV—IX კლასებში 213 მოსწავლიდან ბუნებისმეტყველებაში სახელმძღვანელო არ აქვს 132 მოსწავლეს, VIII—XI კლასებში 84 მოსწავლიდან ქიმიის სახელმძღვანელო არ აქვს 37, VI—XI კლასებში 150 მოსწავლიდან გერმანული ენის სახელმძღვანელო აკლია 137 მოსწავლეს.

სკოლებში არაა მოწყობილი სასწავლო კაბინეტები. ყაზბეგის საშუალო სკოლაში ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების ხელსაწყო-იარაღები გამოუყენებელია და ინახება ერთ ოთახში, რომელიც არ იკეტება; სიონის საშუალო სკოლაში ფიზიკის ხელსაწყოები სამასწავლებლოში დადგმულ ერთ კარადაში უწესრიგოდ ინახება. სრულიად მოუგვარებელია სასწავლო კაბინეტების მოწყობილობათა აღრიცხვის საქმე. ყაზბეგის საშუალო სკოლაში ჯერ კიდევ შეუვსებელი ინახება 2 წლის წინ გაგზავნილი სპეციალური ჟურნალი ფიზიკაში ხელსაწყო-იარაღების აღსარიცხავად, ხოლო სიონის საშუალო სკოლაში ასეთი ჟურნალი სრულიად არ მოიპოვება.

სკოლის სამუშაო გეგმები უშინაარსოდ და ფორმალურად არის შედგენილი. ყაზბეგის საშუალო სკოლის წლიური და ნახევარი წლის სამუშაო გეგმები ნაჩქარევად არის შედგენილი და სავსეა ენობრივი და შინაარსობრივი ხასიათის შეცდომებით. მაგალითად, გეგმაში სწერია: „მოსწავლეთა ყოფაქცევის წესების მოსწავლეთა მორიგეობის მინიან ჩარჩოებში ჩასმა“... „პედსაბჭოს სხდომაზე ქიმიის ანგარიში თვალსაჩინოების გამოყენების მიმდინარეობაზე“ და ა. შ. ასევე დაუდევრად არის შედგენილი ამ სკოლის კლასის ხელმძღვანელთა აღმზრდელობითი გეგმები, რომლებიც დირექციას არ განუხილავს და არ დაუმტკიცებია. ყველა გეგმა თითქმის ერთიმეორის ასლს წარმოადგენს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პედაგოგიური საბჭო გარბანის დაწყებით, არშის რვაწლიან და კობის საშუალო სკოლებში. ამ სკოლების ხელმძღვანელებს არ ესმით პედაგოგიური საბჭოს მუშაობის შინაარსი და ამოცანები. მაგალითად, კობის საშუალო სკოლაში პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე აურჩევიათ ადგილკომის თავმჯდომარე და ამავე სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ მასწავლებლები ფიცხელაური და ღუდუშაური სისტემატურად უმიზეზოდ აცდენენ გაკვეთილებს.

გარბანის დაწყებითი სკოლის ოქმში ასეთი დადგენილებაა ჩაწერილი: „II, III და IV კლასებში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაინიშნოს თამარა ვლადიმერის ასული გელაძე“. ხშირად ოქმები დაუდევრად და უშინაარსოდ იწერება; მაგალითად,

არშის რვაწლიანი სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმში, საშემოდგომო გამოცდების შედეგებთან დაკავშირებით, ასეთი შინაარსის დადგენილებაა ჩაწერილი: „საჭიროა ყველა კლასის მასწავლებელმა და საგნის მასწავლებელმა საშემოდგომო შედეგები, რათა დაზუსტდეს კლასის სიები 1 სექტემბრისათვის“. არ ექცევა ყურადღება პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმების სათანადოდ გაფორმებას—სიონის საშუალო სკოლაში—თამჯდომარისა და მდივნის ნაცვლად ოქმებს ხელს აწერენ სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე.

დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არ ამოწმებენ მასწავლებელთა მუშაობას გაკვეთილებზე დასწრებით. კობის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს პ. ძაგახოვს და არშის რვაწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს კ. ელოშვილს მეოთხედის მანძილზე არცერთი გაკვეთილი არ მოუსმენიათ, სიონის საშუალო სკოლის დირექტორს კი მხოლოდ 16 გაკვეთილი აქვს მოსმენილი.

სკოლებში სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან საკლასო ჟურნალების, სკოლის დღიურის, მოსწავლეთა პირადი საქმეების და სხვა ძირითადი სასკოლო დოკუმენტების მოვლა-დაცვას და წარმოების საქმეს. მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ აწარმოებს მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვას, გადასწორებულია მოსწავლეთა წარმატების ნიშნები. საკლასო ჟურნალებში მოსწავლეთა წარმატების აღრიცხვის შედეგები ხშირად არ ეთანხმება სკოლის დღიურში ჩაწერილ ცნობებს. მოსწავლეთა დასწრების ხელოვნურად გაზრდის მიზნით, იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც მეცადინეობას აკლდებიან, სკოლის დღიურში შემცირებული რაოდენობით არის შეტანილი. მაგალითად, სიონის საშუალო სკოლის VIII კლასში 15 ოქტომბერს 5 მოსწავლის გაცდენა არ არის შეტანილი სკოლის დღიურში. ყაზბეგის საშუალო სკოლის X კლასის საშემოდგომო გამოცდამიცემული მოსწავლეები გადაყვანილი არიან XI კლასში ისე, რომ მათ შესახებ არც პედაგოგიური საბჭოს დადგენილებაა მიღებული და არც საგამოცდო ოქმებია გაფორმებული. ამავე სკოლის მოსწავლეთა პირად საქმეებში არ არის ოთხი კლასისა და რვა კლასის დამთავრების მოწმობები, დაბადების მოწმობები, ცნობები მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და სხვ. გარბანის დაწყებით და კობის საშუალო სკოლებს მოსწავლეთა პირადი საქმეები სრულებით არ გააჩნიათ.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთ ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილება

საგსებით არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს სკოლებს. I მეოთხედის განმავლობაში განათლების განყოფილებას არც ერთი სკოლის მუშაობა არ შეუმოწმებია. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ განათლების განყოფილების გამგე ვ. ხახლიშვილი ამავე დროს მუშაობს მასწავლებლად ყაზბეგის საშაულო სკოლაში, სადაც მისი კვირეული დატვირთვა 29 საათით განისაზღვრება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1

დაევალოს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს (გამგეებს):

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარებას, ზუსტი აღწერის საფუძველზე გამოარკვიონ რამდენად არიან ჩაბმულნი V კლასებში გასულ წლის ოთხკლასდამთავრებულები და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რათა არცერთი ოთხკლასდამთავრებული არ დარჩეს V კლასში ჩაბმის გარეშე. აგრეთვე სკოლებში იმგვარად წარმართონ მუშაობა, რომ უზრუნველყოფილი იქნეს კლასებში ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინგენტის წლის ბოლომდე შენარჩუნება. მტკიცედ იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს მითითებებით მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ნოწესრიგების შესახებ;

ბ) უახლოეს დროში დააზუსტონ სკოლის წლიური და ნახევარწლიური მუშაობის გეგმები და მათში-გაითვალისწინონ კონკრეტული საკითხები;

გ) სისტემატური კონტროლი დააწესონ სასკოლო დოკუმენტების (საკლასო ჟურნალი, სკოლის დღიური, პედაგოგიური საბჭოს ოქმების წიგნი, ბრძანებების წიგნი, საინვენტარო წიგნი, მოსწავლეთა პირადი საქმეები და სხვ.) წარმოებაზე და უზრუნველჰყონ მათში სათანადო ცნობების ზუსტად, თავის დროზე და სუფთად შეტანა; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა ცოდნის დონის მიმდინარე შეფასების ნიშნების დროულად და სწორად შეტანას საკლასო ჟურნალებში. სრულ წესრიგში მოიყვანონ გასული წლის კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების შედეგების მასალები—საგამოცდო ოქმები, პედაგოგიური საბჭოს დადგენილებანი, ყოფაქცევისა და წარმატების აღრიცხვის ჟურნალი, იმგვარად, რომ ყველა ეს დოკუმენტები ნათელ სურათს იძლეოდეს მოსწავლეთა ქცევისა და აკადემიური წარმატების მდგომარეობის შესახებ. აგრეთვე მოსწავლეთა პირად საქმეში შეიტანონ მოსწავლეთა პედაგოგიური დახასიათებისა და აკადემიური წარმატების მასალები (ცნობები ჯანმრთელობის შესახებ, დაბადების მოწმობა, განცხა-

დება და ბრძანება სკოლაში ჩარიცხვის შესახებ, IV და VIII კლასების დამთავრების მოწმობა და სხვ.);

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გადაჭრით გააუმჯობესონ მასწავლებლების მუშაობაზე კონტროლი და ხელმძღვანელობა: სისტემატურად შეამოწმონ მასწავლებლების გაკვეთილებისათვის მზადების ხარისხი, გაკვეთილებზე დასწრებით გამოავლინონ ცალკეული საგნის სწავლებაში არსებული ნაკლოვანებანი და სწავლების საუკეთესო ნიმუშები, გაკვეთილებზე დასწრების შედეგები გააცნონ მასწავლებლებს პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და მეთოდურ თათბირებზე. მიაღწიონ იმას, რომ არცერთი მასწავლებელი მოუმზადებელი არ ცხადდებოდეს გაკვეთილებზე და გაკვეთილები ტარდებოდეს მაღალხარისხოვნად.

ე) შემოიღონ პედაგოგიური საბჭოს ოქმებისათვის დანომრილი, ზონარგაყრილი და განათლების განყოფილების მიერ შემოწმებული სპეციალური წიგნი. გულდასმით შეიმუშაონ პედაგოგიური საბჭოს მუშაობის თემატიკა, სხდომებზე განიხილონ სასწავლო-აღმზრდელობითი საკითხები, კარგად გააფორმონ პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები, ოქმებში შეიტანონ როგორც მოსმენილი საკითხების შინაარსი, ისე კამათში გამოსულ პედსაბჭოს წევრების მიერ გამოთქმული აზრი; სისტემატური კონტროლი დააწესონ პედსაბჭოს დადგენილებების შესრულებაზე. პედსაბჭოს მუშაობაში ზუსტად იხელმძღვანელონ საქ. სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სათანადო დებულებით (იხ. „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 1, 1946 წ.); ფართოდ გაშალონ მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის და ამ მიზნით ზუსტად იხელმძღვანელონ საქ. სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულებით სკოლაში მეთოდური მუშაობის შესახებ (იხ. „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 11—12 1946 წ.).

§ 2

დაევალოს მათემატიკის მასწავლებლებს:

ა) უზრუნველჰყონ ნორმით დაწესებული წერითი სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარება, გულდასმით შეადგინონ საწერი თემები ორ ვარიანტად, აღკვეთონ ამოცანათა კრებულებიდან მასწავლებლების მიერ წინასწარ ამოხსნილი მაგალითებისა და ამოცანების საწერ თემებად მიცემის პრაქტიკა. უზრუნველჰყონ საკონტროლო წერითი სამუშაოების ნორმალურ პირობებში ჩატარება და მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მოსწავლე

დამოუკიდებლად ასრულებდეს წერით სამუშაოს და ამჟღავნებდეს თავის ნამდვილ ცოდნას:

ბ) მტკიცედ დანერგონ მოსწავლეთა შორის საშინაო დავალებების დამოუკიდებლად შესრულების პრაქტიკა და გააძლიერონ კონტროლი საშინაო დავალებათა შესრულებაზე, პერიოდულად გაასწორონ მოსწავლეთა საკლასო-საშინაო წერითი სამუშაოები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათემატიკური ჩანაწერების სწორად და სუფთად გაფორმებას, აღკვეთონ მოსწავლეების მიერ საკლასო-საშინაო რვეულებში, ძირითადი ცნებების განსაზღვრების და წესების ჩაწერის პრაქტიკა და მიაღწიონ მოსწავლეებში წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევების გამომუშავებას;

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა არითმეტიკის სწავლების საქმეში, არითმეტიკის ყოველ გაკვეთილზე I—IV და V—VI კლასებში სათანადო ადგილი დაუთმონ ზეპირ ანგარიშს, გააძლიერონ ვარჯიში ამოცანების ამოხსნაზე და ავარჯიშონ მოსწავლეები დაშვებული შეცდომების გასწორებაზე;

დ) გაკვეთილების უხარისხოდ და მოუმზადებლად ჩატარებისათვის მიეცეს გაფრთხილება მათემატიკის მასწავლებლებს: გ. ცხვედაძეს (სიონის საშ. სკოლა), კ. ელოშვილს (არშის რვაწლიანი სკოლა), რ. ხულელიძეს და ნ. ღუდუშაურს (გარბანის დაწყებითი სკოლა). დაევალოს მათ, სათანადო მეთოდური მითითებებისა და დამხმარე ლიტერატურის გამოყენებით საფუძვლიანად ემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის და უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები;

ე) ყაზბეგის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვ. ხახლოშვილმა IX—XI კლასებში არსებული მნიშვნელოვანი პროგრამული ჩამორჩენილობა მათემატიკასა და ფიზიკაში გამოასწოროს უმოკლეს დროში.

§ 3

დაევალოს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებლებს:

ა) საფუძვლიანად შეისწავლონ და ზუსტად იხელმძღვანელონ მუშაობაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წლის № 476, № 505 (იხ. 1947 წლის „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 4), 1948 წლის № 3330, № 3331 (იხ. 1948 წლის „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 11—12), № 3661 (იხ. 1949 წლის „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 1) ბრძანებებით, მითითებებით ლაბორანტის მუშაობის შესახებ (იხ.

1948 წ. „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 5—6), სადირექტივო წერილით ბიოლოგიის სწავლების გარდაქმნის შესახებ შიჩურინული მოძღვრების საფუძველზე (იხ. 1948 წლის „ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 11—12) და ინსტრუქციით სასკოლო ნაკვეთზე მუშაობის შესახებ (იხ. 1949 წლის ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული“ № 1).

ბ) ფიზიკისა და ქიმიის სწავლების ცუდად დაყენებისათვის, რის გამო მოსწავლეთა ცოდნა ამ საგნებში ძალზე დაბალია, გაფრთხილება მიეცეს: ფიზიკის მასწავლებლებს—ს.ხულელიძეს (სიონის საშუალო სკოლა) და ე. ვალიშვილს (ყაზბეგის საშუალო სკოლა), ქიმიის მასწავლებლებს—ს. აბაევას (კობის საშუალი სკოლა) და თ. გელაძეს (არშის რვაწლიანი სკოლა). დაევალოთ მათ უმოკლეს დროში აღმოფხვრან მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და თვალსაჩინოების მაქსიმალური გამოყენებით უახლოეს დროში აღმოფხვრან ფიზიკისა და ქიმიის სწავლებაში არსებული გარღვევები.

§ 4

ა) წინადადება მიეცეს კობის საშუალო სკოლის დირექტორს ი. ლობჟანიძეს, ისტორიის მასწავლებელს მ. ხურუმოვას, ყაზბეგის საშუალო სკოლის დირექტორს და ისტორიის მასწავლებელს თ. ჟორჟიკაშვილს დასახონ ყველა საჭირო ღონისძიებანი, რათა უახლოეს დროში გამოსწორებული იქნეს XI კლასებში ისტორიის პროგრამული მასალის გავლაში არსებული ჩამორჩენილობა;

ბ) წინადადება მიეცეს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ხახლიშვილს და კობის საშუალო სკოლის დირექტორს თ. ლობჟანიძეს დაუყოვნებლივ შემოიღონ ამ სკოლის X—XI კლასებში საქართველოს ისტორიის სწავლება და უზრუნველჰყონ წლის ბოლოსათვის ორივე კლასში პროგრამით გათვალისწინებული კურსის სრულიად გავლა;

გ) ისტორიაში გაკვეთილების მოუმზადებლად ჩატარებისათვის მიეცეს გაფრთხილება გორისციხის რვაწლიანი სკოლის ისტორიის მასწავლებელს ელ. სეთურიძეს.

§ 5

რუსული ენის მასწავლებლებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ლექსიკურ ვარჯიშს, გაკვეთილზე საჭიროებისამებრ გამოიყენონ პლაკატები, სურათები

და სხვა თვალსაჩინო მასალები, შეაჩვიონ მოსწავლეები რუსული წინადადებების და სიტყვების გააზრებულად, სწორად გამოთქმას და მახვილის დასმას, შეაჩვიონ ნახულისა და გაგონილის დამოუკიდებლად, თავისი სიტყვებით თხრობას; სისტემატურად მისცენ მოსწავლეებს წერითი დავალებები, პატარა წინადადებების შედგენის, კითხვებზე პასუხისგაცემისა, წიგნებიდან გადაწერისა, მარტივი წინადადებების ამოწერისა და სხვა სახის მასალაზე; საფუძვლიანად გაასწორონ წერითი ნაჭუშევრები და ავარჯიშონ მოსწავლეები დაშვებულ შეცდომების გამოსწორებაზე;

ბ) გაფრთხილებული იქნეს კობის საშუალო სკოლის II და III კლასების რუსული ენის მასწავლებლები ფ. აბაევა და ე. აბაევა, გორისციხის რვაწლიანი სკოლის II კლასის მასწავლებელი ე. კობერიძე და ყაზბეგის საშუალო სკოლის II კლასის მასწავლებელი ნ. შადური იმის გამო, რომ ისინი არ მუშაობენ თავისთავზე, არ ემზადებიან გაკვთილისათვის და მონდომებით არ მუშაობენ მოსწავლეებთან რუსული ენის დასაუფლებლად, თუ ისინი უახლოეს დროში არ გამოასწორებენ რუსულ ენის სწავლებაში არსებულ გარღვევებს დაისვას საკითხი მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

§ 6

გერმანულ ენის მასწავლებლებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ლექსიკურ ვარჯიშს, მოსწავლეები შეაჩვიონ სწორად და გააზრებულად კითხვას, კითხვებზე მოკლე პასუხის გაცემას; დასმულ კითხვების მიხედვით დაფაზე პასუხის დაწერას, გავლილი ლექსიკიდან უცნობი სიტყვების გააზრებულად დასწავლას, რვეულებში ლამაზად წერას და ნამუშევრების გულდასმით გასწორებას;

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ თავის თავზე მუშაობა, ფართოდ ისარგებლონ დამხმარე და მეთოდური ლიტერატურით და ყოველ გაკვეთილისათვის საფუძვლიანი მომზადებით უზრუნველჰყონ გერმანული ენის სწავლების სათანადო დონეზე დაყენება.

§ 7

ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ:

ა) უახლოეს დროში გამოასწოროს სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაზე კონტროლისა და ხელმძღვანელობის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი; მიმდინარე წლის დასასრულამდე შეისწავლოს რაიონის ყველა სკოლის მუშაობა და სკოლებისა და მას-

წავლებლების მუშაობაში შემჩნეული ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახოს მეთოდურად და პედაგოგიურად გამართული ღონისძიებანი. გამოავლინოს მოწინავე მასწავლებლების მუშაობის საუკეთესო ნიმუშები და მასწავლებელთა თათბირებზე პედაგოგიურ საბჭოსსხდომებზე, მეთოდურ გაერთიანებებში, ადგილობრივ პრესაში აწარმოოს მათი განზოგადოება.

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს და მუშაობაში დახმარება გაუწიოს გარბანის დაწყებით სკოლის გამგეს ს. გომიაშვილს, არშის რვაწლიანი სკოლის დირექტორს თ. გელაძეს და კობის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს პ. ძაგახოვს, მასწავლებლებს: გ. ცხვედაძეს, კ. ელოშვილს, რ. ხულელიძეს, ნ. ღუდუშაურს, ს. ხულელიძეს, ე. ვალიშვილს, ს. აბაევას, მ. ხურუმოვას, ელ. სეთურიძეს, ფ. აბაევას, ე. აბაევას, ს. კობერიძეს, ნ. შადურს. თუ ისინი უახლოეს დროში არ გამოასწორებენ მათ მუშაობაში არსებულ გარღვევებს დაისვას საკითხი მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

გ) მიიღოს გადამჭრელი ზომები სკოლებში ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის კაბინეტების საჭირო თვალსაჩინო ხელსაწყოებით შესავსებად. ერთი დეკადის განმავლობაში შეავსონ ფიზიკის ხელსაწყოების სააღრიცხვო ჟურნალი და ერთი ცალი წარმოადგინოს განათლების სამინისტროში;

დ) ათი დღის ვადაში უზრუნველჰყოს მოსწავლეთა პირადი საქმეების მოწესრიგება და მიაღწიოს იმას, რომ ყველა მოსწავლეს პირად საქმეში გააჩნდეს დაბადების მოწმობა;

ე) გადამჭრელი ზომები მიიღოს მოსწავლეების საჭირო სახელმძღვანელო წიგნებით უზრუნველსაყოფად;

ვ) დააყენოს საკითხი მშრომელთა დეპუტატების ყაზბეგის რაიონსაბჭოს აღმასკომისა და სოფლსაბჭოების წინაშე სკოლების დგამავეჯით (მერხი, სკამი, მაგიდა, კარადა) უზრუნველყოფის შესახებ და უახლოეს დროში მიაღწიოს იმას, რომ პირველ რიგში მომარაგებული იქნეს სასკოლო ინვენტარით გარბანის დაწყებითი და არშის რვაწლიანი სკოლები.

§ 8

ა) ვავალებ საგეგმო-საფინანსო განყოფილებას:

ა) 1950 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ყაზბეგის რაიონის სკოლებისათვის სამეურნეო ხარჯები იმ რაოდენობით, რომ ამ რაიონის ყველა სკოლა უზრუნველყოფილი იქნეს მერხების, სკამების, მაგიდების, კარადების და დაფების საჭირო რაოდენობით.

ბ) მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა მეტი რაოდენობით ჩააბას გადასამზადებელ კურსებზე ყაზბეგის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მასწავლებლები ყველა სპეციალობის მიხედვით;

გ) ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის მოძრავმა ლაბორატორიამ სახელოსნომ ადგილზე სკოლებში მისვლით აღმოუჩინოს სათანადო საგნის მასწავლებლებს პრაქტიკული დახმარება—შეაკეთოს და სამუშაოდ გაუმზადოს დაზიანებული ხელსაწყო-იარაღები, ჩაუტაროს საჭირო ცდები, ახსნა-განმარტება და საუბრები სასწავლო კაბინეტების მოწყობილობათა გამოყენებისა და მოვლა-შენახვის წესებზე.

§ 9

ეს ბრძანება განიხილული იქნეს ყაზბეგის რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დასახული იქნეს ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

§ 10

დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველომ შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1949 წლის 22 ნოემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე მ. ბურჯულაძე

ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგებელი რედაქტორი მ. ბურჯულაძე

უე00263. შეკვ. № 241. ტირაჟი 2000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიულ მრეწველობის, გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.